12620/3-74/21 2 28122021

12620/3-74/21
28-12-2021

საქართველოს იუსტიციის მინისტრს

ბატონ რატი ბრეგაძეს

ბატონო რატი,

გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, ამავე მუხლით გათვალისწინებულ ვადაში მოგვაწოდოთ სტატისტიკური მონაცემები წლების მიხედვით, 2010 წლიდან 2021 წლის ჩათვლით:

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისიის მიერ სასჯელის შემდგომი მოხდისაგან რამდენი მსჯავრდებული გათავისუფლდა ავადმყოფობის გამო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 74-ე მუხლის საფუძველზე (სქესობრივ და ასაკობრივ ჭრილში - სრულწლოვანი/არასრულწლოვანი).
2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისიის მიერ სასჯელის შემდგომი მოხდისგან რამდენი მსჯავრდებული გათავისუფლდა ხანდაზმულობის ასაკის გამო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 74-ე მუხლის საფუძველზე (სქესობრივ ჭრილში), აღნიშნული უფლებამოსილების სრულად სასამართლოსთვის გადაცემამდე.
3. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივმა საბჭომ რამდენ მსჯავრდებულს (სქესობრივ და ასაკობრივ ჭრილში - სრულწლოვანი/არასრულწლოვანი) შეუცვალა სასჯელის მოუხდელი ნაწილი უფრო მსუბუქი სახის სასჯელით:

- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით
- თავისუფლების შეზღუდვით (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 2018 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქციის შესაბამისად)

- შინა პატიმრობით (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 2018 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქციის შესაბამისად).

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
გივი მიქანაძე

საქართველოს იუსტიციის მინისტრი

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40–51–48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge

KA010102462138222

№770

22 / იანვარი / 2022 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ბატონ გივი მიქანაძეს

ბატონო გივი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი № 12620/3-74/21 მომართვის (საქართველოს იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციის №01/35900; თარიღი: 28.12.2021) პასუხად, რომლის თანახმადაც მოთხოვნილია სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისიის, ასევე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების თაობაზე, გაცნობებთ შემდეგს:

1. 2010-2021 წლებში სასჯელის შემდგომი მოხდისგან ავადმყოფობის გამო გათავისუფლდა 212 მსჯავრდებული, მათ შორის: ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისიის მიერ – 201 (კაცი – 196; ქალი – 5), სასამართლოს მიერ – 11 (კაცი) მსჯავრდებული (იხ. დანართი №1);

2. 2010-2021 წლებში სასჯელის შემდგომი მოხდისგან ხანდაზმულობის ასაკის გამო გათავისუფლდა 63 მსჯავრდებული, მათ შორის: ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისიის მიერ – 62 (კაცი – 45; ქალი – 17), სასამართლოს მიერ – 1 (კაცი) მსჯავრდებული (იხ. დანართი №1);

3. 2010 წლის პირველი ოქტომბრიდან (ადგილობრივი საბჭოების შექმნიდან) 2021 წლის ჩათვლით, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებული დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე, სასჯელის მოუხდელი ნაწილი უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეეცვალა 1 560 მსჯავრდებულს, მათ შორის:

- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – 403 (სრულწლოვანი კაცი – 393; სრულწლოვანი ქალი – 10; არასრულწლოვანი კაცი – 0; არასრულწლოვანი ქალი – 0);

- შინაპატიმრობა – 989 (სრულწლოვანი კაცი – 960; სრულწლოვანი ქალი – 27; არასრულწლოვანი კაცი – 2; არასრულწლოვანი ქალი – 0);
- თავისუფლების შეზღუდვა – 168 (სრულწლოვანი კაცი – 168; სრულწლოვანი ქალი – 0; არასრულწლოვანი კაცი – 0; არასრულწლოვანი ქალი – 0) (იხ. დანართი №2).

დანართი: 2 (ორი) ფაილი (Excel)

პატივისცემით,

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

რატი ბრეგაძე

ავადმყოფობის/ხანდაზმულობის ასაკის გამო გათავისუფლება
2010-2021 წწ.

წლები	კაცი			სულ	ქალი			სულ	საერთო
	ავადმყოფობით ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისიის მიერ	ავადმყოფობით სასამართლოს მიერ	ხანდაზმულობით გათავისუფლება		ავადმყოფობით ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისიის მიერ	ავადმყოფობით სასამართლოს მიერ	ხანდაზმულობით გათავისუფლება		
2010 წელი	0		0	**0**	0		0	**0**	**0**
2011 წელი	0		0	**0**	0		0	**0**	**0**
2012 წელი	3		16	**19**	1		5	**6**	**25**
2013 წელი	57		22	**79**	1		11	**12**	**91**
2014 წელი	23		2	**25**	0		1	**1**	**26**
2015 წელი	20		4	**24**	0		0	**0**	**24**
2016 წელი	21		1	**22**	0		0	**0**	**22**
2017 წელი	8		0	**8**	1		0	**1**	**9**
2018 წელი	20	2	0	**22**	0	0	0	**0**	**22**
2019 წელი	11	7	0	**18**	0	0	0	**0**	**18**
2020 წელი	17	2	1	**20**	2	0	0	**2**	**22**
2021 წელი	16	0	0	**16**	0	0	0	**0**	**16**
სულ	**196**	**11**	**46**	**253**	**5**	**0**	**17**	**22**	**275**

სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის სტატისტიკა
სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში საფუძვლის მიხედვით
(ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე)

(1 ოქტომბერი, 2010 წელი - 2021 წელი)

საფუძველი	სრულწლოვანი			არასრულწლოვანი			საერთო
	კაცი	ქალი	სულ	კაცი	ქალი	სულ	
1 ოქტომბერი, 2010 წელი - 31 დეკემბერი, 2012 წელი							
საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა	2	0	**2**	0	0	**0**	**2**
თავისუფლების შეზღუდვა	0	0	**0**	0	0	**0**	**0**
სულ	2	0	**2**	0	0	**0**	**2**
2013 წელი							
საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა	14	0	**14**	0	0	**0**	**14**
თავისუფლების შეზღუდვა	0	0	**0**	0	0	**0**	**0**
სულ	14	0	**14**	0	0	**0**	**14**
2014 წელი							
საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა	20	9	**29**	0	0	**0**	**29**
თავისუფლების შეზღუდვა	42	0	**42**	0	0	**0**	**42**
სულ	62	9	**71**	0	0	**0**	**71**
2015 წელი							
საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა	7	0	**7**	0	0	**0**	**7**
თავისუფლების შეზღუდვა	53	0	**53**	0	0	**0**	**53**

სულ	60	0	**60**	0	0	**0**	**60**
2016 წელი							
საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა	3	1	**4**	0	0	**0**	**4**
თავისუფლების შეზღუდვა	51	0	**51**	0	0	**0**	**51**
სულ	54	1	**55**	0	0	**0**	**55**
2017 წელი							
საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა	32	0	**32**	0	0	**0**	**32**
თავისუფლების შეზღუდვა	22	0	**22**	0	0	**0**	**22**
სულ	54	0	**54**	0	0	**0**	**54**
2018 წელი							
საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა	16	0	**16**	0	0	**0**	**16**
შინაპატიმრობა	66	1	**67**	0	0	**0**	**67**
სულ	82	1	**83**	0	0	**0**	**83**
2019 წელი							
საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა	42	0	**42**	0	0	**0**	**42**
შინაპატიმრობა	192	2	**194**	0	0	**0**	**194**
სულ	234	2	**236**	0	0	**0**	**236**
2020 წელი							
საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა	137	0	**137**	0	0	**0**	**137**

შინაპატიმრობა	395	12	**407**	1	0	**1**	**408**
სულ	532	12	**544**	1	0	**1**	**545**
2021 წელი							
საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა	120	0	**120**	0	0	**0**	**120**
შინაპატიმრობა	307	12	**319**	1	0	**1**	**320**
სულ	427	12	**439**	1	0	**1**	**440**
1 ოქტომბერი, 2010 წელი - 2021 წელი							
საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა	393	10	403	0	0	0	403
შინაპატიმრობა	960	27	987	2	0	2	989
თავისუფლების შეზღუდვა	168	0	168	0	0	0	168
სულ	1521	37	1558	2	0	2	**1560**